ოქმი:ო37. 3723082001
თარიღი:23/03/2023

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2023 წელი, 21 მარტი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი ; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, გ. შილაკაძე, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ნ. მახარაძე, თ.ტუღუში, ნ. სარჯველაძე.
მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. გოლიძე.
მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ მასმედიის წარმომადგენლებს მიულოცა ჟურნალისტიკის დღე, უსურვა წარმატებები საქმიანობაში, აღნიშნა დაუნის სინდრომის მქონე ბავშთა საერთაშორისო დღეზეც, მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ-გ. ღურჯუმელიძემ ითხოვა დღის წესრიგისთვის 4-საკითხის: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შ.პ.ს. „სატისი“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“; ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია”-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის

შესახებ“; ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა).ი.პ. „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი”-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“; ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების „ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ დამატება, შედეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ამ 4-საკითხის დამატებით, 32 -ხმით დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით გორდელაძე

გელა ჩავლეშვილი

საკითხის განხილვისას საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ მიესალმება ქ.ოზურგეთის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებას, მაგრამ აღსანიშნავია ისიც-ეს სამუშაოები ფინანსდება იმ ევროკავშირის გრანტით, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას არ მოსწონს, ისაუბრა გამსახურდიას სახელობის მოედნის რეაბილიტაციაზე, არსებული იმიტომ დაანგრიეს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელთან ასოცირდებოდა, მოუწოდა ე.წ. „კუბოების“
მსგავსი საყვავილეებით არ დაემახინჯებინათ მოედანი, ამ განცხადებას მოყვა ხმაური, ურთიერთ შეურაცხმყოფელი განცხადებები, შემდეგ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დატოვეს საკრებულოს სხდომა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ 2022 წელში მუნიციპალიტეტმა შესყიდვებში გააკეთა 4-მილიონი ლარის ეკონომია, რაც შეეხება დ. მჟავანაძის განცხადებას-ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში ევროკავშირის გარანტი იყო 11-მილიონი ლარი, მთლიანი სამუშაოების ღირებულების 33%.

საკრებულოს წევრმა ბ. მელუამ დასვა შეკითხვა ტენდერების გასაჩივრების თაობაზე, რომელსაც მიეცა შესაბამისი განმარტება.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა ანგარიშზე და მხარს უჭერს მას, იქვე აღნიშნა რადიკალური ოპოზიციის მიერ მოწყობილ ხმაურზე, ხაზი გაუსვა, რომ ამგვარ საქციელს სჩადიან მხოლოდ მასმედიის წინაშე და საკითხების არსებითი განხილვა არ აინტერესებთ.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

19.2.“ქალაქ ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების მიზნით მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის(შეთანხმების)შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ მასმედიის წარმომადგენლებს მიულოცა პროფესიული დღე, უსურვა წარმატებები მუშაობაში, მიმართა საზოგადოებას, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ დღესაც დატოვა საკრებულოს სხდომა, არ მიიღეს მონაწილეობა მის მუშაობაში, მაშინ როცა მმართველი უმრავლესობა ზრუნავს მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაზე, ისინი აწყობენ სხვადასხვა აქციებს, მისი აზრით საკუთარი ქალაქის კეთილმოწყობაზე ქილიკი, ჩასაფრება არის სამარცხვინო საქციელი. განაცხადა, რომ განაშენიანების გეგმის შედგენის სამუშაოებს დააფინანსებს შესაბამისი სახელმწიფო სააგენტო.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა გეგმის შემუშავების წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებზე, განუმარტეს, რომ მას ასრულებენ მერიის შესაბამისი სამსახურები და მუნიციპალიტეტის ა(ა). ი.პ., ლ. ბიგვავამ ასევე დასვა შეკითხვა ქალაქის საზღვრების დადგენის მიზნით ცატარებული სამუშაოების მდგომარეობის შესახებ, განმარტეს, რომ საზღვრები დადგენილია ქალაქის შემდგომი განვითარების პერსპექტივითაც.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით

20.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით

21.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შ.პ.ს. „სატისი“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა პროექტზე და მხარს უჭერს მას.

22.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია”-სთვის სარგებლობის უფლებით

გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა პროექტზე და მხარს უჭერს მას.

23.6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა).ი.პ. „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი”-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა პროექტზე და მხარს უჭერს მას.

24.7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების „ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა პროექტზე და მხარს უჭერს მას.

8. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა გ. ჩავლეშვილმა,

განაცხადა, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ გადაიბირა ახალგაზრდების ერთი ნაწილი, რათა ხელი შეეშალა კანონის მიღებისათვის, ახლა ამ კანონს განიხილავს კანადა და საბერძნეთი, თვით ევროპარლამენტშიც არის მასზე მსჯელობა, რეგიონში არ არის უფრო პროამერიკული და პროდასავლური ქვეყანა ვიდრე საქართველო. შემდეგ მოკლედ გააკეთა იმ სამუშაოების ჩამონათვალი, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა ქვეყნის ევროინტეგრაციისათვის.

საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსათვის“ თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძემ განაცხადა, რომ როცა საქმე ეხება ქვეყნის კურსს, მეტი სიფრთხილეა საჭირო, საქართველოს მოსხლეობის 80%-ზე მეტი ევროინტეგრაციის მომხრეა, რაც შეეხება ახალგაზრდებს-სტუდენტებს, ისინი არც ერთი პარტიის მოწოდებით არ გამოსულან, მათ დაინახეს ევროპისაკენ მიმავალ გზაზე საფრთხე.

საკრებულოს წევრმა დ. მდინარაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით ახალგაზრდების ერთ ნაწილს ჰქონდა განსხვავებული მოტივაცია.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე